კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, ჩიტაიას ქუჩა #6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.16.01.017.005) განსათავსებელი საბავშვო ბაგა-ბაღების შენობების (ექსტერიერი, ინტერიერი, გარე პერიმეტრი) სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი #1

ქ. თბილისი **24.04.2015 წ.**

სხდომას ესწრებოდნენ:

სხდომას თავმჯდომარეობდა:
საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე – თემურ თორდინავა
სხდომას ესწრებოდნენ:
საკონკურსო კომისიის წევრები: დავით სიხარულიძე, ნინო ბურძენიძე
საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები: დავით ძოწენიძე, ნინო კონჯარია
მოწვეული კონსულტანტები: ნინო გვენცაძე, ლევან ძაგნიძე

დღის წესრიგი

კონკურსის მეშვეობით ქ. თბილისში, ჩიტაიას ქუჩა #6-ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი 01.16.01.017.005) განსათავსებელი საბავშვო ბაგა-ბაღის შენობის (ექსტერიერი, ინტერიერი, გარე პერიმეტრი) სამშენებლო საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის (შემდგომში მისი განხორციელების მიზნით) შესყიდვის საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო პირობების დამტკიცება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრის, დავით სიხარულიძის გამოსვლა, რომელმაც სხდომას დასამტკიცებლად წარმოუდგინა: ა) საკონკურსო განცხადების პროექტი და ბ) საკონკურსო დოკუმენტაცია.

საკონკურსო კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი პროექტები, კომისიის თავმჯდომარემ ასევე დადებითად შეაფასა საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის პროექტები.

კომისიამ დაადგინა:

1) დამტკიცდეს საკონკურსო განცხადებისა და საკონკურსო დოკუმენტაციის წარმოდგენილი ვარიანტი;
2) საკონკურსო განცხადება და საკონკურსო დოკუმენტაცია გამოქვეყნების მიზნით გაეგზავნოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ელექტრონული ფოსტის contest@procurement.gov.ge–ის მეშვეობით.

თავმჯდომარე: /თემურ თორდინავა/

კომისიის წევრი: /დავით სიხარულიძე/

კომისიის წევრი: /ნინო ბურძენიძე/

აპარატის წევრი: /დავით ძოწენიძე/

აპარატის წევრი: /ნინო კონჯარია/

მოწვეული კონსულტანტი: /ნინო გვენცაძე/

მოწვეული კონსულტანტი: /ლევან ძაგნიძე/